

PRESS RELEASE

დაუყოვნებლივ გასავრცელებლად
22 აგვისტო, 2008
ოფისი: 39 90 88 (ext. 115)
საკონტაქტო პირი: რუსუდან ძიგრაშვილი
მობილური: +995 99 24 39 49
ფაქსი +995 32 39 99 37
ელ-ფოსტა: icc@icc.ge

ICC-საქართველოს გაეროსადმი წერილში ნათქვამია: “მშვიდობიანი მოსახლეობის კოლექტიური დასჯა ჟენევის კონვენციის თანახმად დაუშვებელია და ამგვარი ქმედება დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ”

მიმდინარე წლის 22 აგვისტოს ICC-საქართველოს თავმჯდომარემ ფადი ასლიმ საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის ოფიციალური მიმართვა გაეროს გენერალური მდივნის ბ-ნი ბან-ჟი მუნისათვის გადასაცემად საქართველოში გაეროს კოორდინატორს რობერტ უოტკინს წარუდგინა. მიმართვაში ICC-საქართველოს წარმომადგენლები ითხოვენ შავი ზღვისა და თბილისის შემაერთებული მაგისტრალის გახსნას.

წერილში ნათქვამია: “რუსეთის სამხედრო ძალები აკონტროლებენ ერთადერთ მაგისტრალს, რომელიც შავი ზღვის პორტებს საქართველოს დედაქალაქთან აკავშირებს. მათი მიზანი ცალსახაა, დედაქალაქის იზოლაცია და ჰუმანიტარული ბლოკადა.

მშვიდობიანი მოსახლეობის კოლექტიური დასჯა ჟენევის კონვენციის თანახმად დაუშვებელია და ამგვარი ქმედება დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი ოფიციალურად გაცნობებთ ამ ფაქტის შესახებ და ვაცხადებთ, რომ გაერო ვალდებულია დაიცვას ქართული მოსახლეობა კრიმინალური ქმედებებისაგან, რომელსაც მისი მუდმივი წევრი ახორციელებს.

გამომდინარე ზემოთქმულიდან გთხოვთ მიიღოთ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ რუსულმა მხარემ გაათავისუფლოს ერთადერთი დამაკავშირებელი გზა და ამით ავიცილოთ თავიდან ჰუმანიტარული კატასტროფა.

ICC-საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქართველოს ეროვნულ კომიტეტს. საერთაშორისო სავაჭრო პალატა დაახლოებით 90 წლის წინ დაფუძვნდა და თავს უყრის ასობით ათას ბიზნეს ორგანიზაციას 130 ქვეყნიდან.

ICC-საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს მსოფლიო სავაჭრო და საბაჟო ორგანიზაციებთან, ასევე გაეროსთან და დიდ რვიანთან.